განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,4 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 14687,9 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1110,3 ათასი ლარით (8,2%-ით).

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 14037,9 ათასი ლარით;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 10,8%-ით (1110,3 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 650,0 ათას ლარს;

  ქონების გადასახადი იგივეა რაც 2023 წელს.

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 270,9 ათასი ლარამდე, მათ შორის:

  ✔ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 270,9 ათასი ლარი;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 9,7%-ით (29,1 ათასი ლარით) მცირდება.

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 280,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  ✔ პროცენტები 150,0 ათასი ლარი.

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 10,4%-ით (100.0 ათასი ლარით) მცირდება.

  ✔ რენტა 130,0 ათასი ლარი;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 10,4%-ით (49,2 ათასი ლარით) მცირდება. შემცირება გამოწვეულია (მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშზე არსებული თანხის (ნაშთის) დეპოზიტებზე დარიცხული თანხის შემცირებით).

- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 95,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

- ✔ სანებართვო მოსაკრებლები 50,0 ათასი ლარი;
- ✔ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 25,0 ათასი ლარი;
- ✔ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 20,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 160,0 ათასი ლარის** ოდენობით;
  - ✔ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 140,0 ათასი ლარი;
  - ✔ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 20,0 ათასი ლარი;

- **შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 50 ათასი ლარი;**
- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 120,0 ათას ლარს;

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 17588,8 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2858,8 მლნ ლარით).

2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნისნული გამომდინარეობს 2024 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2024 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 330 ლარის ოდენობით ნაცვლად 1210 ლარისა.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 2003153,0 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✔ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 708,0 ათასი ლარი;

განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: შიდა სასოფლო გზებისა და ხიდ ბოგირების რეაბილიტაცია.

- ✔ **შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია -500,0** ათასი ლარი;

  ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. მარტვილში კეთილმოწყობის ცენტრის ეზოს მოწყობა 300,0 ათ. ლარი და სამუსიკო სკოლის შენობის სახურავის რეაბილიტაციის, გათბობის სისტენის მოწყობისა და მერისა და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია 200,0 ათ. ლარი.

- ✔ **გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 83,0 ათასი ლარი.**
- ✔ **წყლის სისტემების** განვითარება -212,0 ათასი ლარი;

  განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაცია 200,0 ათასი ლარი (

ტალერი-სალხინო, დიიჭყონის მეურნეობა და გაჭედილში წყლის სისტემების რეაბილიტაცია) და მოხმარებული წყლის ღირებულება 12,0 ათასი ლარი.

- ✔ **პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა - 100,0 ათასი ლარი;**

  განხორციელდება მარტვილის ცენტრში პარკის მოწყობა.

- ✔ **საპროექტო-სახართაღრიცხვო, ექსპერტიზის და ზედამხედველობის ხარჯები -230,0 ათასი ლარი.**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება და ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

- ✔ **გარე განათება - 700.0 ათასი ლარი;**

  პროგრამა ითვალისწინებს მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულებას და მოვლა პატრონობას.

  - ✔ **-კეთილმოწყობის ცენტრის** სუბსიდირების ხარჯები ფინანსდება 320,0 ათ. ლარით, აღნიშნული ხარჯები მიუსაფარი ძაღლების გაყვანას, მწვანე საფარის მოვლა პატრონობას, შადრევნებისა და აუზების, წყლის სისტემემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა, ქალაქის ტერიტორიის მოხეტიალე პირუტყვისაგან დაცვას. ქ. მარტვილის საბაგირო გზის მომსახურებას.
  - ✔ **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება** 300.0 ათ. ლარი (რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით მიმდინარე სამუშაოების თანადაფინანსება სამუშაოს ღირებულების 5%-ის ოდენობით.

  - ✔ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1090,0 ათასი ლარი; მათ შორის:**

  - ✔ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 870.0 ათასი ლარი**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა.

  - ✔ საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია 20,0 **ათასი ლარი;**
  - ✔ **სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია** 200,0 ათასი ლარი.

  სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

- ➢ **განათლება - 2871,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

  - ✔ **სკოლამდელი განათლება - 2850,0 ათასი ლარი;**

  2023 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 500.0 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით და ახალი ბაღებისათვის ავეჯისა და ინვენტარის შეძენა);

  - ✔ **შშმ ბავშვთა და მოზარდთა დახმარება** 21.0 ათ. ლარი (შშმ ბავშვთა საკვირაო სკოლის თანადაფინანსება).

- ➢ **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2613 ათასი ლარი მათ შორის:**

  - ✔ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 949,0 ათასი ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები

მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს მარტვილის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

- ✔ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა 1564,0 ათასი ლარი.მ.შ: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა 30,0 ათასი ლარი, მუსიკალური სკოლის დაფინანსება 240,0 ათასი ლარი, კულტურული ღონისძიებების დაფინანსება 200,0 ათასი ლარი, ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა 24,0 ათასი ლარი, კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის დაფინანსება 820,0 ათასი ლარი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება 250,0 ათასი ლარი.** პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურურლი ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.
- ✔ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა 25,0 ათასი ლარი.**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.
- ✔ **რელიგიური ღონისძიებების დაფინანსება 70000 ათასი ლარი.**

➢ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1646,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

- ✔ **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 175,5 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: · არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

- ✔ **სოციალური პროგრამები 1436.0 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:**

- მოსახლეობის სამედიცინო დახმარება -550,0 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანთა და უკიდურესად შეჭირვებულთა უკვდავყოფის ხარჯები 20,0 ათასი ლარი;
- 9 აპილის და აგვისტოს მოვლენების დაფინანსების ხარჯები 19,0 ათასი ლარი;
- 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარება 8.0 ათ. ლარი;
- უკიდურესად შეჭირვებულთა ერთჯერადი დახმარება 400.0 ათ. ლარი;

- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა 40.0 ათ. ლარი;
- დედმამით ობოლი ბავშვების დახმარება ფინანსდება 120,0 ათ. ლარი;
- შშმ ბავშვთა დახმარების ხარჯები ფინანსდება 69,3 ათ. ლარი;
- ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთა ერთჯერადი დახმარება 100.0 ათ. ლარი;
- ახალშობილთა დახმარება 99,7 ათ. ლარი.

- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები შეადგენს 6215,8 ათას ლარს, მათ შორის:**
- მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება – 1540,7 ათასი ლარი;
- მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია – 4283,4 ათასი ლარი;
- მარტვილის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური –60,9 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი – 40,0 ათასი ლარი;
- სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის თანადაფინანსება, ვალის მომსახურება 234,8 ლარი, მათ შორის ძირიდადი თანხა 206,2 ლარი და პროცენტი – 28,6 ლარი.

მ.შ: შრომის ანაზღაურება შეადგენს 4287,5 ათას ლარს თანხა გათვლილია საკებულოს, მერიისა და სამხედრო სამსახურების 190 თანამშრომელზე. შრომის ანაზღაურებაში გათვალისწინებულია საბაზისო ხელფასის შესაბამისად თანმდებობრივი სარგოს 10%-ით ზრდა, საკლასო დანამატი და მოვალეობის დაკისრებასთან დაკავშირებული ხარჯები; შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება შეადგენს 315,6 ათას ლარს (შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობაა 19); მივლინების ხარჯები შეადგენს 21,0 ათას ლარს, ოფისის ხარჯები შეადგენს 232,2 ათას ლარს, წარმომადგენლობითი ხარჯები 7,5 ათ. ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 315,0 ათ. ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 220,0 ათ. ლარი, პროცენტი 28,6 ათ. ლარი (სესხის პროცენტი); სოციალური უზრუნველყოფა 23,0 ათ. ლარი, სხვა ხარჯები 193,1 ათ. ლარი (საგრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი 28,0 ათ. ლარი, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები 124,8 ათ. ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა 366,0 ათ. ლარი, მ.შ კომპიუტერის შეძენა 8,5 ათ. ლარი, პრინტერის, სკანერის და ასლგადამღების შეძენა 3,5 ათ. ლარი, სპეც ტექნიკის შეძენა358,2) და ვალდებულებების კლება 206,2 ათ. ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი
	მარტვილის მუნიციპალიტეტი	**17,527.800**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**6,215.800**
01 01	**მუნიციპალიტეტის საკრებულო**	**1,540.700**
01 02	**მუნიციპალიტეტის მერია**	**4283,4**
01 03	**სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური**	**60.900**
01 04	**სარეზერვო ფონდი**	**40.000**
01 05	**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდი**	**0.000**

01 06	მუნიციპალური განვითარების პროგრამის თადაფინანსების ხარჯები	234.800
01 07	,,საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა“	0.000
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,153.000
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	708.000
02 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	508.000
02 01 02	ხიდ-ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	200.000
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,825.000
02 02 01	შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია	500.000
02 02 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	83.000
02 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	212.000
02 02 04	პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა	100.000
02 02 05	საპროექტო-სახართაღრიცხვო, ექსპერტიზის და ზედამხედველობის ხარჯები	230.000
02 02 07	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	700.000
02 03	საკადასტრო რუკების მომზადება	0.000
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.000
02 06	კეთილმოწყობის ცენტრი	320.000
02 07	სპორტული მოედნების მოწყობა	0.000
02 08	სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ხარჯები	0.000
02 09	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	300.000
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,090.000
03 01	დასუთავება და ნარჩენების გატანა	870.000
03 02	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია	20.000
03 03	სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	200.000
04 00	განათლება	2,871.000
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2,850.000
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	0.000

04 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა	0.000
04 04	შშმ ბავშვთა და მოზარდთა განათლების დაფინასება	21.000
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2,613.000
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	949.000
05 01 01	სპორტული სკოლა	420.000
05 01 02	საფეხბურთო სკოლა	509.000
05 01 03	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	20.000
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,569.000
05 02 01	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	30.000
05 02 02	მუსიკალური სკოლის დაფინანსება	240.000
05 02 03	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	200.000
05 02 04	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	24.000
05 02 05	კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი	820.000
05 02 06	მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	250.000
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	25.000
05 04	რელიგიური ღონისძიებების დაფინანსება	70.000
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,646.000
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	210.000
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	1,436.000
06 02 01	მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	550.000
06 02 02	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და უკიდურესად შეჭირვებულთა დაკრძალვის ხარჯები)	20.000
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 აპრილის და აგვისტოს მოვლენებში დაზარალებულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება)	19.000
06 02 04	100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი	8.000
06 02 05	უკიდურესად შეჭირვებულთა ერთჯერადი დახმარება	400.000
06 02 06	მრავალშვილიანი ოჯახების (4 შვილი და მეტი)	50.000
06 02 07	ობოლი ბავშვების დახმარება	120.000

06 02 08	**შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარება**	**69.250**
06 02 09	**ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა ერთჯერადი დახმარება**	**100.000**
06 02 10	**ახალშობილთა დახმარება**	**99.750**

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5948,7 ათასი ლარი;*
- *თავდაცვა - 60,9 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 1338,0 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 1410,0 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1495,0 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 760,0 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია 2613,0 ათასი ლარი;*
- *განათლება - 2871,0 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 886,0 ათასი ლარი;*

„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2024-2027 წლები);
2. ინფორმაცია 2023 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ინფორმაცია მე-6 მუხლის „ბ3.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;
7. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები"-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
8. ინფორმაციას საბიუჯეტო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შერჩეული და შეფასებული საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ,

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი